

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

This policy brief is also available in English.

ქალები და ჰიდროენერგეტიკა: მოწყვლადობის გამწვავება განსახლების გარეშე

განვითარების პროექტებზე საუბრისას გამოყენებული მოდური გამოთქმა "მდგრადი და ინკლუზიური ზრდა", ხშირად იხმარება დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე უარყოფითი ზემოქმედების შესანიღბად. საქართველოში, სვანეთის რეგიონში მშენებარე ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის შემთხვევაშიც, ეს ფრაზა დამფინანსებელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების¹ საყვარელი გამოთქმად იქცა, რათა დააკნინონ და გადაფარონ ის სერიოზული საფრთხეები, რომლებსაც ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური წარმოშობს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მათ შორის ქალებისთვის.

პროექტი ორ პატარა ხეობაში, ჭუბერსა და ნაკრაში ხორციელდება, სადაც დაახლოებით 1200 ადამიანი ცხოვრობს. კომპანიის მიერ მომზადებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასკვნა ასეთია, კაშხალი უშუალოდ მხოლოდ 80 ოჯახზე მოახდენს ზეგავლენას, ყოველგვარი კონკრეტიკისა და გენდერული ზემოქმედების უთანასწორობის შეფასების გარეშე. თუმცა, ღიად ცხადდება, რომ ამ თემის ყველა წევრი ისარგებლებს პროექტის სპონსორის მიერ შემოთავაზებული სოციალური პროგრამებით.

პროექტის განმახორციელებელი, სამხრეთ კორეული K Water-ის განცხადებით, სვანეთის სოფლებიდან მოხდება, როგორც კვალიფიცირებული, ასევე არაკვალიფიცირებული მუშახელის დასაქმება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შრომითი მიგრანტების ნაკადის მოზიდვა. მშენებლობისთვის დაახლოებით 1100 მუშახელია საჭირო, რომელთა უმრავლესობასაც რა თქმა უნდა მამაკაცები შეადგენენ. ქალებისთვის გამოყოფილი სამუშაო ადგილები კი შემოიფარგლება დამლაგებლის და მზარეულის თანამდებობით.

¹ პროექტის განმახორციელებელი შპს ნენსკრა ჰიდრო 88% ეკუთვნის კორეულ K Waters, 7% საქართველოს სახელმწიფოს საპარტნიორო ფონდს, და 5% - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს. შპს ნენსკრა ჰიდრო ცდილობს მოიზიდოს პროექტის სრული ღირებულება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, მათ შორის ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკიდან (AIIB), ასევე ექსპორტ-საკრედიტო ბანკებიდან, კორეის განვითარების ბანკი (KDB) და საექსპორტო კრედიტების იტალიური სააგენტოდან (SACE).

კაშხლების მსოფლიო კომისიის კვლევებით დადგენილია, რომ რეზერვუარების და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობამ შესაძლოა არაპროპორციული გავლენა იქონიოს ქალებზე და კაცებზე. „დაგეგმვის პროცესის გენდერული სიბრძნის შედეგად, დიდი კაშხლების პროექტები ძირითადად გენდერულ ურთიერთობებში არსებულ დისბალანსს ეფუძნება. კაშხლებმა შესაძლოა მეტი გენდერული უთანასწორობა გამოიწვიოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემებში, ქალებზე სოციალური ხარჯების არაპროპორციული წილის დაკისრებით, ან სარგებლის უსამართლო გადანაწილების გზით.“² უფრო ფართო ზემოქმედებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ოჯახური ძალადობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ზრდა, პრობლემები მიწის საფასურის ანაზღაურებისას, როგორც ცუდი დაგეგმვის შედეგი, რომელიც არ ითვალისწინებს გენდერულ საკითხებს. ნათელია, რომ გენდერულ და ძალაუფლების დისბალანსს მივყავართ ტრადიციულ მიწათმოქმედ თემებში ქალების შემდგომ მარგინალიზაციამდე.

დიდი მშენებლობები, მათ შორის კაშხლები, დისპროპორციულად ახალისებს მამაკაცების დასაქმებას. ქალები და კაცები ტიპურად შემოსავლებს სხვადასხვანაირად ხარჯავენ, შესაბამისად შემოსავლებისა და დასაქმების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ინვესტიციებზე ჯანმრთელობაში, საკვებში და განათლებაში. თუმცა უფრო ხშირად დამატებითი ფინანსური რესურსების გაჩენა, აძლიერებს მამაკაცის როლს ოჯახში, ზრდის დაძაბულობას და ძალადობას³.

ამავდროულად, პროექტის განმახორციელებლები და დამფინანსებლები თვლიან, რომ თუ არ ხდება ფიზიკური იძულებითი განსახლება არანაირი გენდერული ზემოქმედებაც არ ხდება. ჭუბერისა და ნაკრას თემის ქალები გვიზიარებენ ცუდი მოპყრობის საკუთარ გამოცდილებას, რომელიც საპირისპიროს მეტყველებს. ნენსკრას პროექტის საჯარო განხილვების პროცესისას, ჭუბერელი ექიმი ქალი აცხადებს, რომ: "კომპანია არავის კომენტარს და წინადადებებს არ ითვალისწინებს, არ გააჩნიათ კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხები, იმ რისკებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჩვენ შეიძლება წავაწყდეთ". ჭუბერის თემის სკოლის მასწავლებელი ქალი კი ამბობს: "როცა ვიგებ, რომ პროექტის განხილვაა დაგეგმილი ყოველთვის მივდივარ და ხშირად ვაწყდები უცნაურ სიტუაციას. მაგალითად ვიდეოზე ვიღებ ორგანიზატორებთან შეხვედრებს და ამ დროს პოლიცია ცდილობს გამაჩეროს და მიმტკიცებს, რომ საჯარო კრების გადაღება უკანონოაა". ქალებს ეშინიათ, გაუარესებული ცხოვრების ხარისხის გამო, შესაძლოა მომავალში იძულებულნი გახდნენ რომ გადასახლდნენ, რადგანაც პროექტი დაკავშირებულია ჯანმრთელობის რისკებთან და შესაძლო გეოლოგიურ კატასტროფებთან⁴.

2 WCD 2000, p. 114

3 http://pdf.usaid.gov/pdf_docs/Pnads884.pdf

4 2016 წლის გზშ-ს შესაბამისად "კლიმატზე ზეგავლენა მნიშვნელოვანი იქნება გაზაფხულზე, როცა ყინულის საფარი დნობას დაიწყებს, და შემოდგომის ბოლოს, სანამ ყინვები დაიწყება. ამ პერიოდებში წყლისა და ჰაერის ტემპერატურებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება და ძლიერი ქარები აორთქლებს ააქტიურებენ. აორთქლებული ნესტი გაყინული თოვლის სახით ედება შენობებს, ხეხილს და აზიანებს მათ. ადრეული ყინვებით გამოწვეული ზარალი კი უფრო მძიმეა, რადგან გაყინვისგან ილუპება კვირტი და ყლორტი, რის შედეგადაც სასარგებლო ხეები ადრეულად ბერდებან, უნაყოფო ხდებიან და ილუპებიან. წყალსაცავის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობები მძიმდება და ისინი ავადგებიან რევმატიზმით და/ან რესპირატორული დაავადებებით და საჭიროებენ სისხლმარღვთა სისტემის მკურნალობას."

მათი შიში არაა უსაფუძვლო, ვინაიდან საქართველოში არსებობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული ჰიდროელექტროსადგურის პროექტების მშენებლობის პროცედენტები. მაგალითად, მთიან აჭარაში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მშენებარე შუახევის ჰიდროელექტროსადგური საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის, აზიის განვითარების ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ერთობლივი პროექტია. ჰესს, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის თანახმად, საერთოდ არ გააჩნია გენდერული ზემოქმედება.

მთიან აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა მუსულმანია. შესაბამისად, პროექტის გარშემო საჯარო განხილვების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ამ თემების რელიგიური მრწამსი და სოციალურ-კულტურული თავისებურებები, ასევე შესაძლო გენდერული ზემოქმედება. მაგალითად⁵, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ სამ სოფელში, საჯარო განხილვებში მხოლოდ მამაკაცებმა მიიღეს მონაწილეობა. უფრო მეტიც, ქალების ნაკლებად ჩართულობის მიზეზად მამაკაცების მხრიდან ამგვარი პათოსის პასუხიცი გაჟღერდა: "ქალებს არ შეუძლიათ საკუთარი აზრის გამოთქმა თავისუფლად." შედეგად, საზოგადოებრივ განხილვებს მხოლოდ კაცები ესწრებოდნენ. მიუხედავად ამისა, პროექტის განმხორციელებელ ჯგუფს არ გადაუდგავს შესაბამისი ნაბიჯები, რათა უზრუნველყო ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკების უხეშ დარღვევას. პროექტის განმახორციელებელმა, ნორვეგიულმა კომპანიამ "Clean Energy" სავარაუდოდ გადაწყვიტა არ დაპირისპირებოდა ადგილობრივ მამაკაცს, რომელმაც განაცხადა, რომ "ქალს არ აქვს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება".

რეგიონში ქალების ცხოვრების ხარისხი მნიშვნელოვნად შეიცვალა საგზაო მოძრაობის ზრდისა და მშენებლობაზე მიმდინარე აფეთქებების შედეგად. ქალები შფოთავენ, რომ ვეღარ უშვებენ ბავშვებს მარტოებს სკოლაში. აღსანიშნავია, ისიც, რომ კომპანია ბურღვა - აფეთქებით სამუშაოებს აწარმოებს ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. ამას ემატება კომპანიის მძიმე ტექნიკის სწრაფი უკონტროლო გადაადგილება სოფლებში, რაც ქალების თქმით საფრთხის უქმნის ბავშვებს.

მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებს, აწუხებს წყალთან დაკავშირებული პრობლემებიც. ბურღვა-ფეთქებითი სამუშაოების დაწყების შემდეგ დაშრა ბევრი წყარო და სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას სასმელად ვარგისი წყალიც აღარ აქვთ: იძულებულები არიან კიდევ უფრო შორიდან, ზოგჯერ 2-3 კილომეტრის დაშორებით მოიტანონ წყალი. ქალები, რომელთა მეუღლეებიც, ან ნათესავები მშენებლობაზე არიან დასაქმებულები, უფრო მეტად დაიტვირთნენ საოჯახო საქმით, რადგან ისინი იძულებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც აწარმოონ, რაც მანამდე მამაკაცების მოვალეობაში შედიოდა.

5 http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/10/Shuakhevi_HPP_2016.pdf

გენდერულ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა უფრო მეტად უნდა დაუჭირონ მხარი ქალების ბრძოლას ჰიდროენერგეტიკის წინააღმდეგ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდა ხელს შეუწყობს ისეთი ინიციატივების გატანას პარლამენტში, როგორცაა პოზიტიური დისკრიმინაცია და კვოტირება. რაც ყველა დონეზე გაზრდის ქალთა ჩართულობას პოლიტიკაში.



ამ ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს The Both ENDS და სადიაკნოსა და მსოფლიოში პურის განვითარების პროტესტანტული სააგენტოს-პროტესტანტული განვითარების სამსახურის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2017

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74;
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG